ს ა ე ქ ს პ რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი,

ს/კ 01.13.01.018.714, შპს „დემასი“ -ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე

სავაჭრო და საგამოფენო შენობაზე სასაწყობო ფართობის მიშენების პროექტის

“ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების”

დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის

N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად.

ექსპერტი: ირინა ლომსაძე

თბილისი 2020 წ.

საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის "ტექნუკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საფუძველი: მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის 255 დადგენილება, 2016 წლის 24 მაისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #14-39.

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი ს/კ 01.13.01.018.714

ობიექტის ფუნქცური დანიშნულება: სავაჭრო და საგამოფენო შენობის რეკონსტრუქციის შედეგად სასაწყობო ფართობის მიშენების პროექტი.

საპროექტო ორგანიზაცია: შპს „ჯი დი სტუდიო"

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი: საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის 255 დადგენილება „

გაითვალისწინეთ:

საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის ან/და მშენებლობის დროს, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

გამოსაკვლევი ნაწილები:

შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) მისაწვდომობის შეფასებას;

ვ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

ზ) სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასებას;

თ) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

ი) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

კ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

ასევე ექსპერტიზა მოიცავს:

ლ) გარე კედლების დეტალური კვანძების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება;

ნ) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მე-14 და მე-15 თავებს.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

<u>დაგეგმარების საფუძვლები და მიზნები:</u>

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი,

საკადასტრო კოდით 01.13.01.018.714, შპს „დემასი“ -ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე.

საპროექტო ტერიტორიაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2020 წლის 20 ოქტომბერს, № 5150705 ბრძანებით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, სავაჭრო ცენტრის შენობის რეკონსტრუქციის მიზნით. შემდგომ შეიცვალა საკადასტრო საზღვრები და საკადასტრო კოდი. ნაკვეთს მიენიჭა ს/კ 01.13.01.018.714.

2021 წლის 24 მარტს № 5325280 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

საპროეტო მიწის ნაკვეთს საზოგადოებრივი საზღვრები გააჩნია აღმოსავლეთით და დასავლეთით არსებული მისასვლელი გზების მხრიდან.დანარჩენ არეალებში შემოფარგლულია რეგისტრირებული

საკადასტრო ერთეულებით.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია მიწის საკონტროლო დონიდან 8,30 მ სიმაღლის, 2 სართულიანი შენობის მშენებლობა.

შენობა სასაწყობო სანიშნულებისაა, სამშენებლო მასალების შესანახად.

გამოკვლევა:

ა) **დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:**

- საპროექტო ობიექტისათვის და და მისი ცალკეული ნაწილებისთვის განსაზღვრული დაკავებულობები არის:
- **სწ-2** ჯგუფის დაკაებულობა: სასაწყობე ფართი, მიწის დონის სართული და მიწის დონის ზედა მეორე სართული (0.000 ნიშნული, +3.200 ნიშნული).

ვინაიდან ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს თუ რა შეინახება აქ, და იმის გათვალისწინრბით რომ საპროექტო შენობა მჭიდროდ ესაზღვრება არსებულს, დაზღვევის მიზნით, საწყობებისთვის არჩეულია ამ შემთხვევაში უფრო მეტი საფრთხის მქონე დაკავებულობის ჯგუფი ანუ **სწ-2**)

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

რაც შეეხება დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებს, პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული მაჩვენებელი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

- **სწ-2** დაკავებულობის ჯგუფი_____46,5

დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „წესების“ ცხრილი 1004.1.2-ის მოთხოვნებს.

ბ) **კონსტრუქციის ტიპების შეფასება:**

შეფასებული იქნა საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი (II-B ტიპი) , რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით, აკმყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემეტებისათვის კონსტრუქციის ტიპების მიხედვით უნდა განისაზღვროს 601 ცხრილის შესაბამისად.

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს 8,30 მ სიმაღლის 2 სართულიანი შენობის დაგეგმარებას, სართულზე მაქსიმალური იატაკის ფართობი 292,6 მ2 არჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (II-B ტიპი) და პროექტით დაგეგმილი სიმაღლის და ფართობების გათვალისწინებით, დაცულია „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნები.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

საპროექტო შენობა, თავისი სართულიანობის, დაკავებულობის დატვირთვის და

გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის მიხედვით, წესების 1021.2

ცხრილის შესაბამისად საჭიროებს 2 გასასვლელის მოწყობას, რაც

პროექტით გათვალისწინებულია.

- მიწისპირა სართულზე მდებარე სასაწყობე დამხმარე ფართს ემსახურება ორი გასასვლელი, ერთი გზა-კარის სახხით, ხოლო მეორე 9-8 ღერძებში მდებარე ღიობით.
- შენობის მე-2-ე სართულზე მდებარე სასაწყობე სივრცეს ესაჭიროება 2 გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია, შიდა გზა-კიბის და შენობის გარეთ მდებარე ღია გზა-კიბის სახით

- იმის გათვალისწინებით, რომ შენობა არ კლასიფიცირდება, როგორც დწ-2 ჯგუფის დაკავებულობის ჯგუფი, არ წარმოადგენს მაღლივს და მისი სართულიანობა არ ცდება 8-ს, შესაძლებელია გარე კიბის გამოყენება, როგორც აუცილებელი გასასვლელი კომპონენტისა, თანახმად 1026.2 პუნქტისა.
- გარე გასასვლელი გზა-კიბეს ცალ მხარეს ესაზღვრება შენობის კედლები, ხოლო დანარჩენ მხარეს მთლიანად ღიაა, რაც აკმაყოფილებს 1026.3 პუნქტის მოთხოვნას.
- გარე გზა-კიბე სამეზობლო მიწის ნაკვეთისგან გამიჯნულია მინიმუმ 3 მეტრით, თანახმად 1026.5 პუნქტისა
- შენობის ფასადის იმ ნაწილში, რომელსაც ემიჯნება გარე კიბე, მოწყობილია მხოლოდ ისეთი ღიობები, რომლებიც დაკავებული სივრციდან გასვლისთვისაა საჭირო, თანახმად 1026.6 პუნქტისა.
- 0,000 და +3,200, + ნიშნულზე განთავსებულ სართულებზე, გასასვლელი კარის ღიობები ერთმანეთისგან გამიჯნულია სართულის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტი მანძილით, რაც აკმაყოფილებს 1015.2.1 პუნქტს.
- გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1005.3.1 პუნქტის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით. გზა კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 7.6 მმ ფაქტორი. პროექტით გათვალისწინებული ყველა კიბის სიგანე აკმაყოფილებს, როგორც 1005.3.1 პუნქტის საფუძველზე გამოთვლილ, ასევე 1009.4 პუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ ნორმას.
- გზა-კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 პუნქტის მოთხოვნებს.
- გზა-კიბის კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013-ე პუნქტის მოთხოვნებს.
- გზა-კიბის კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012-ე პუნქტის მოთხოვნებს.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს

1016.2-ე ცხრილით გათვალისწინებულ ნორმებს.

- ყველა დაკავებული სივრცის გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარის რაოდენობა და მდებარეობა შეესაბამება 1015-ე ქვეთავს.

ე) მისაწვდომობის შეფასება:

- აღსანიშნავია, რომ შენობის ფუნქციიდან გამომდინარე ის არ საჭიროებს მისაწვდომობას, თუმცა - საპროექტო შენობის მთავარი შესასვლელი არის მისაწვდომი, რაც აკმაყოფილებს,

  როგორც 1104.1 ქვეთავის, ასევე 1105.1 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ: შენობაში

  შესვლა-გამოსვლა ხდება ±0.00 ნიშნულზე, პანდუსების გარეშე, ხოლო მეორე სართულზე მოხვედრა ხდება კიბეების მეშვეობით. რადგან შენობა სასაწყობო ფუნქციითაა დატვირთული, მიზანშეწონილად მიგაჩნია მისაწვდომი სვლაგეზი არ გავრცელდეს შენობის მეორე სართულზე.

  შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

ვ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შენობის ყველა არსებული და საპროექტო გარე კედელი არის ბეტონის ბლოკის რომლებიც შელესილია და 721.1(1) და 721.1(2) ცხრილების თანახმად გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობა.

გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 705.8 ცხრილის მოთხოვნებთან. პროექტში გარე კედლებს აქვს დაბალი პარაპეტი 705.11 ქვეთავის 1 გამონაკლისის შესაბამისად.

ზ) სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კონსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით . გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.
- სახურავის, როგორც კონსტრუქციას ასევე მის არაძირითად ნაწილებს, შენობის კონსტრუქციის ტიპის (II-B) გათვალისწინებით, ცეცხლმედეგობის ხარისხი, 601 ცხრილის მიხედვით, არ მოეთხოვება, თუმცა რკინაბეტონის კონსტრუქციის გადახურვას, 721.1(1) ცხრილის მიხედვით, გააჩნია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი;
- პარაპეტის სიმაღლე, სადაც სახურავის ზედაპირი და კედელი ერთმანეთს კვეთს, არის 0,76 მეტრზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 705.11.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სახურავს ქანობი შეადგენს 2%-ს, რაც აკმაყოფილებს 1507.10.1 ქვეთავის მოთხოვნებს,
- სახურავზე მოწყობილი წყლის გამშვები ხვრელის ზომა აკმაყოფილებს 1503.4.2-ე პუნქტის მოთხოვნას.

თ) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

<u>თარაზული გამიჯვნა</u>

- 707.3.10 ცხრილის მიხედვით შენობაში გათვალისწინებულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის თარაზული ანაწყობი ყველა სართულზე.

<u>დაკავებულობის გამიჯვნა ცეცხლმედეგი კედლებით</u>

- შენობაში არსებული შახტების (საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათიანი, რაც შეესაბამება 713.4. ქვეთავის მოთხოვნებს (საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3. ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით).

ი) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- 903-ე ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობაში ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობის აუცილებლობა არ არის და შესაბამისად არც პროექტით არის გათვალისწინებული;
- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

1) სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;
2) სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა;
3) კვამლის/ცეცხლის ავტომატური აღმომჩენები

შენიშვნა: სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს 907.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- მთელ შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები;

შენიშვნა: ცეცხლმაქრები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906 ქვეთავისა და NFPA 10-ის შესაბამისად (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

კ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

შენობაში გათვალისწინებული წყალსადენი სისტემების რაოდენობა სწორად არის განსაზღვრული და მათი რაოდენობა აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ:

რადგან საპროექტო შენობა წარმოადგენს არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტს, სამომსახურეო ნიჟარა, უნიტაზი და ხელსაბანი გათვალისეინებულია არსებულ შენობაში.

წყალსადენთან მისადგომი ბილიკის სიგრძე არ

აღემატება 150 მ-ს, რაც შესაბამისობაშია 1602.3.2-ე პუნქტის მოთხოვნასთან.

ლ) გარე კედლების დეტალური კვანძების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:

გარე კელების დეტალური კვანძები:

- გარე კედლის შემდეგი კომპონენტები არის შეფასებული, მოსაპირკეტებელი საფარი და კარ-ფანჯარა.
- 1403.1 ქვეთავის შესაბამისად პროექტს ახლავს გარე კედლების კვანძები საფარების და შემადგენელი კომპონენტების მითითებით.
- გარე კედელი არის ბეტონის

ბლოკის რომლებიც შელესილია.

- ხანძარსაწინააღმდეგო მანძლის მიხედვით ფასადებზე არ არის გამოყენებული წვადი მოსაპირკეთებელი მასალები.

გარე საიზოლაციო და მოსაპირკეთებელი სისტემების მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს 1408 ქვეთავების მოთხოვნები, ასევე 1403 ქვეთავის მოთხოვნები.

დასკვნა

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, ს/კ 01.13.01.018.174 დაპროექტებული სავაჭრო და საგამოფენო შენობაზე სასაწყობო ფართობის მიშენების პროექტი შესაბამისობაშია "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

გაფთხილება:

1. მუშა დოკუმენტაციის და საინჟინრო კომუნიკაციების დამუშავებისას გათვალისწინებული იქნას წესების მოთხოვნები.
2. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები;
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად;
- საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები;
- სახანძრო განგაშის სისტემები;

ექსპერტი:  ი.ლომსაძე

გამოყენებული მასალები:

შპს ,, ჯი დი სტუდიო ”-ს მიერ, ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი

; ს/კ 01.13.01.018.714., შესრულებული სავაჭრო და საგამოფენო შენობაზე სასაწყობო ფართობის მიშენების არქიტექტურული პროექტი.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის 255 დადგენილება
2. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

პროფესიული ავტობიოგრაფიის ფორმა (CV)

სახელი გვარი: ირინა ლომსაძე

განათლება, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი

წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი
2004-2008	აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემია	არქიტექტორი	ბაკალავრი
2008-2010	აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემია	არქიტექტორი	მაგისტრი

შესაბამისი სამუშაო გამოცდილება

წლები	თანამდებობა	ორგანიზაციის დასახელება
2007-2008	არქიტექტორი	საპროექტო "Alizi"
2008-2009	არქიტექტორი	საპროექტო “Archi Tex”
2008-2009	არქიტექტორი	სამშენებლო “ელიტ ჰაუსინგი”
2009-2012	არქიტექტორი	სამშენებლო “IN-SI”
2013-2017	არქიტექტორი	საპროექტო “IK architects”
2018/05/-2018/12	არქიტექტორი	ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური
2019/01/-2019/05	არქიტექტორი	არქიტექტურული კომპანია „არკო“

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის

სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ბაკალავრის დიპლომი

TSAA № 000488

არქიტექტურის

ფაკულტეტის 2008 წლის 08.27 გადაწყვეტილებით,

ირინა ლომსაძეს, დაბადებულს

1986 წლის 01.10 მიენიჭა

არქიტექტორის კვალიფიკაცია

და არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

გაცემის თარიღი 2009 წ. 07.04

ქ. თბილისი

სარეგისტრაციო № 000488

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

A. KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

BACHELOR'S DIPLOMA

TSAA № 000488

This is to certify that by the decision of 2008.08.27

of the Architecture faculty

of the A. KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

Mr./Ms. Irina Lomsadze

born on 1986.01.10 was awarded Bachelor's Academic Degree

with a Major in Architecture

Dean of the Faculty

Rector

ISSUED ON 07.04.2009

City TBILISI

REGISTRATION No. 000488